ნუგზარ სურგულაძე 75

საიუბილეო კრებული

LIBER AMICORUM NUGZAR SURGULADZE

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

Faculty of Law of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

პროფესორ ნუგზარ სურგულაძის 75 წლისადმი მიძღვნილი

საიუბილეო კრებული

Commemorative Volume

for Professor Nugzar Surguladze on his 75th birthday

2025

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

*ლევან დვალიშვილი**

ბატონიშვილთა უფლებამოსილებები XVIII ს-ის ბოლო მეოთხედის ქართლ-კახეთის არტილერიაში

შესავალი

ბევრი ერი ვერ დაიკვეხნის საკუთარი საარტილერიო წარმოების ისტორიით, მათგან განსხვავებით, საქართველოს ამითაც შეუძლია იამაყოს, ამიტომ არტილერიას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს ჩვენი ქვეყნის სამხედრო ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული არტილერიის ისტორიას არაერთი ავტორი შეხებია, ეს საკმარისი არ არის და იგი მრავალმხრივ, მულტიდისციპლინურ შესწავლას მოითხოვს. წინამდებარე წერილი ეხება XVIII ს.-ის ბოლო მეოთხედის ქართლ-კახეთის სამეფოს არტილერიას და წარმოაჩენს არტილერიაში ბატონიშვილთა უფლებამოსილებებისა და მათი მოღვაწეობის საკითხებს.

I. ბატონიშვილთა სამხედრო უფლებრივი მდგომარეობა და არტილერია

XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ქართლ-კახეთის სამეფოს სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობას სათავეში ჩაუდგა ერეკლე II, რომელსაც ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატის შესაქმნელად, კარგად ესმოდა მრეწველობის (და მის ბაზაზე სამხედრო მრეწველობის) განვითარების მნიშვნელობა. სწორედ, ამიტომ XVIII ს.-ის 60-70-იან წლებში ერეკლემ საფუძველი ჩაუყარა მყარ სამთო-მეტალურგიულ წარმოებას, რამაც საშუალება მისცა არამხოლოდ ქვეყნის ეკონომიკა გაეძლიერებინა, არამედ თბილისში არსებული საარტილერიო წარმოება ევროპულის მსგავსად გაეუმჯობესებინა და მდგრადი საარტილერიო პარკი ჩამოეყალიბებინა.[1]

* **ლევან დვალიშვილი** - ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

1 დავით ბატონიშვილის მიხედვით, ქართული არტილერიის ევროპულ (რუსული გამოცდილებით) რეფორმებს პაატა ანდრონიკაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელსაც ესწავლა „მოსკოვს მუნ თოფხანისა გაწყობაი და ჩამოსხმაი ზარბაზანთა და ზართა და ყუმბარათა, და იყო ფრიად მეცნიერ“. აქ ყურადღებას იმსახურებს ზარების ჩამოსხმის საქმის ცოდნაზე აქცენტი. ევროპაში (და რუსეთში) ზარბაზნების და ზარების ჩამოსხმა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ხელობები იყო. ბატონიშვილის ხსენებული ცნობა შეიძლება, იმის ირიბ მინიშნებადაც კი გამოდგეს, რომ თბილისის საარტილერიო სამსხმელოში ზარებიც

საგარეო საფრთხეებისგან ქვეყნის დაცვასთან ერთად, მეფე ერეკლე მაქსიმალურად ცდილობდა ურჩი ფეოდალების ალაგმვას და სამეფოს ცენტრალიზაციას, რისი განხორციელებაც, პირველ რიგში, სამხედრო სიძლიერეს ემყარებოდა, რაშიც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი არტილერიას ეჭირა. სწორედ არტილერია იძლეოდა იმ უპირატესობას, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას ჰქონდა ურჩ ფეოდალებსა და საგარეო მტრებთან შედარებით. საარტილერიო საქმე ერეკლე II-ის განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი იყო. ამავე დროს, „ვინათგან მეფის ძენი არიან პირველნი წევრნი სამეფოსანი და მათგან შედგების ღირსებაი მეფობისა“,[2] ერეკლეს, თავის გეგმების შესრულებაში, დასაყრდენად ბატონიშვილები მიაჩნდა, ამიტომაც დაიწყო მათი აღზევება, რათა ცალკეული ფეოდალები შეეზღუდა და სამეფო ხელისუფლება განემტკიცებინა.[3] მართლაც, საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში ბატონიშვილები ისე აქტიურად არასოდეს ყოფილან ჩართული, როგორც XVIII ს.-ის II ნახევარში.[4]

ერეკლე II-ის „განწესებით“ უფლისწული საუფლისწულოში თავის „ნებისამებრ“ მოქმედებდა.[5] დავით ბატონიშვილის მიხედვით, უფლისწული მთელს სამეფოში „უპირველესი პიროვნებაა“, თუმცა სამხედრო თვალსაზრისით მაინც მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო: უფლისწულის წილში ციხესიმაგრეები არ შედიოდა, არც ერთ მათგანს უფლება არ ჰქონდა, თავის საუფლისწულოში, მეფის ბრძანების გარეშე, შეეყარა ჯარი, შეექმნა რაზმები და შემოეღო რაიმე სამხედრო გადასახადი. უფლისწულს არც მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან ომის წარმოების ან თავდასხმის უფლება ჰქონდა. მეფის ყოველგვარ ბრძანებას ისინი იღებდნენ და ასრულებდნენ სრული სიზუსტით.[6]

ქართლ-კახეთის სამეფოში ბატონიშვილებს არ ჰქონდათ უფლება, დამოუკიდებლად ჰყოლოდათ არტილერია და ჩამოესხათ ზარბაზნები.[7] ანუ, მიუხედავად ბატონიშვილების მკვეთრად გაზრდილი უფლებებისა, არტილერიასთან დაკავშირებულ საქმიანობას ისინი წარმართავენ მეფის ნებართვით და მითითებით. მართალია, წერილობით განწესებებში არსებული დათქმები XVIII ს.-ის მიწურულს, ბატონიშვილთა შორის, ტახტისათვის გამართული ქიშპობის დროს ხშირად ირღვეოდა, თუმცა საარტილერიო საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებების დელეგირების საკითხი, მაინც სამეფო ტახ-

ისხმებოდა. იხ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა 1744-1840 წ.წ.), ტფ. 1905, 25.

2 სამართალი ბატონისშვილის დავითისა, გამოსაცემად მოამზადა *ჯ. ფუხცეიაძემ, თბ. 1964, 218*.

3 არც ამ სტრატეგიამ გაამართლა, ბატონიშვილთა აღზევებამ და გაზრდილმა უფლებებმა, საბოლოოდ ქვეყანა დაასუსტა და შიდა დაპირისპირების ასპარეზად აქცია, თუმცა ამ საკითხის განხილვა სცილდება სტატიის მიზნებს.

4 *მ. კეკელია*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი, თბ., 1970, 126-127.

5 საქართველოს სიძველენი, ტ. I, წ. I, გამოც. მეორე, რედ. *ე. თაყაიშვილი*, ტფ., 1920, 200-221.

6 *ჯ. ბაგჩაგიონი*, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა. რედ. *ა. ჩოგავა*, თბ., 1959, 225-226.

7 იქვე, დავით ბატონიშვილმა არტილერიასთან დაკავშირებული ეს შეზღუდვა თავის რეფორმების კანონპროექტშიც შეიტანა: „იგინი ნუ იკადრებენ თოფხანისა მოწყობად და ჩამოსხმად ზარბაზანთა“. იხ. სამართალი ბატონისშვილის დავითისა, გამოსაცემად მოამზადა *ჯ. ფუხცეიაძემ*, თბ., 1964, 219.

ტზე მყოფი გვირგვინოსნის მონოპოლიას წარმოადგენდა და არტილერიასაც პირადად იგი ხელმძღვანელობდა, როგორც უშუალოდ, ასევე მისთვის სასურველი ბატონიშვილების მეშვეობით. როგორც ჩანს, არტილერიის მეფისადმი დაქვემდებარება და მისი მონოპოლიური მდგომარეობა ჰქონდა მხედველობაში რომანოვსკის, როდესაც წერდა: „Топчи-баши – звание, которое носиль и самь царь“.[8]

შესწავლილი ისტორიული წყაროებით, არტილერიასთან დაკავშირებული ჩანან ერეკლე მეფის შემდეგი ძეები: ალექსანდრე, იულონი და გიორგი, ნაწილობრივ – ვახტანგიც (ალმასხანი).[9] ასევე, გიორგი XII-ის ძეები დავითი და იოანე.[10] ჯერჯერობით, ღიად რჩება საკითხი „მორიგე ჯარის“ ორგანიზატორის, ერთ-ერთი გამორჩეული ბატონიშვილის ლევანის არტილერიასთან კავშირზე.[11]

რა კრიტერიუმებით არჩევდნენ მეფეები თუ რომელი ბატონიშვილისთვის დაევალებინათ ამა თუ იმ საქმის შესრულება არტილერიაში? სავარაუდოდ, ეს დამოკიდებული იყო პიროვნულ უნარებზე, ისევე, როგორც მათთვის სხვა, მათ შორის, სამოსამართლო ფუნქციების მინიჭების დროს ხდებოდა.[12] მაგალითად, ზემოთ ხსენებული ბატონიშვილებიდან ალექსანდრეს, სამეფო ოჯახის წევრებს შორის, ყველაზე მამაც, ნიჭიერ, მონდომებულ და მისწრაფებების მქონე პირად ახასიათებდნენ, მისი ერთ-ერთი მასწავლებელი იყო გერმანელი იაკობ რეინეგსი, რომელიც არტილერიაშიც კარგად ერკვეოდა.[13] თავის მხრივ, დავით ბატონიშვილის მასწავლებელი იყო ავსტრიელი იოსებ გეტინგი, რომელიც ქართული არტილერიის ევროპულად მოდერნიზაციაში მონაწილეობდა.[14] პლატონ იოსელიანის თქმით კი: „მეფის ძენი ორნივე დავით და იოანე იყვნენ გონიერნი, მხნენი და საქმისა კაცნი; თვით მეფე ირაკლისთან დიდად თამამად და თავისუფლად შევიდოდნენ და დიდად უყვარდენ ესენი პაპასა მათსა, ყოველთვის ორთავეს გვერდით მოისვამდა... სხვანი შვილნი მეფისა იყვნენ

8 *В. Е. Романовский,* Очерки из истории Грузии. (Приложение: Развитие учебнаго дела на Кавказе и в бывшем царстве Грузинском в XIX веке), Тифлис, 1902. გვ. 418.

9 თემის ფარგლებს სცილდება და არ განვიხილავთ ვახტანგ VI-ის უკანონო ვაჟის – პაატას შესახებ მაგალითს, რომელიც ერეკლე მეფის ადრეულ არტილერიასთან იყო დაკავშირებული და შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, 1765 წელს სიკვდილით დაისაჯა.

10 უცხოეთშიც არაერთი უფლისწული იყო დაკავშირებული საარტილერიო საქმესთან, მაგალითად, იმერელი უფლისწული ალექსანდრე არჩილის ძე (1674-1711) იყო რუსეთის პირველი გენერალ-ფელდცეხმეისტერი; ბაქარ ვახტანგის ძე (1699-1750) გენერალ ლეიტენანტის ჩინით, ასევე რუსეთში დაინიშნა მოსკოვის ოლქის საარტილერიო კანტორისა და საარტილერიო ძალების უფროსად. თეიმურაზ გიორგის ძე (1782-1846) კი სპარსეთში ინგლისელების მიერ მოდერნიზებულ მთელს არტილერიას მეთაურობდა. (იხ. *ჯ. ვათეიშვილი,* საქართველო და ევროპის ქვეყნები, ტ. 7, თბ., 2016.; Русский биографический словарь, Т. 2., изд. под наблюдением пред. Имп. Рус. ист. о-ва А. А. Половцова. СПб., 1896-1913, 423.; *შ. მესხია,* თეიმურაზ ბატონიშვილი (ცხოვრება და შემოქმედება), თბ. 1982, გვ. 15.)

11 მაგალითად, 1780 წ. ლევან ბატონიშვილს ანანურის ციხე-სიმაგრეში რუსული (ალბათ რუსეთიდან გამოგზავნილი) 17 ტყვიის ზოდი და 8 „დიდრონის რუსულის ბოჭკით წამალი“ გაუსინჯავს, როგორც ჩანს, იგი მინიმუმ ცეცხლსასროლი შეიარაღების ინსპექტირებაში მაინც იყო ჩართული. (იხ. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი (შემდგომში სსცა), ფ. 1448. აღწ. 1. ს. 1319.)

12 *მ. კეკელია,* სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი, თბ., 1970. 128.

13 Весь Кавказ. Справочно-литературный сборник, т. 1, Тифл., 1903, 45.

14 *ს. კაკაბაძე,* კრწანისის ომი, თბ., 1991, 78.

არა ეგოდენ ვარგისნი და არც სამეფოდ აღზრდილნი, ვითარცა ორნი ზემორე თქმულნი“ და ა.შ.[15]

ჯერჯერობით გასარკვევია, არტილერიასთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლად, ეძლეოდათ თუ არა ბატონიშვილებს მეფის საგანგებო რწმუნებულება (ოქმი),[16] როგორც ეს მათ მიერ სასამართლო ფუნქციების განხორციელების დროს იყო საჭირო.[17] არც უფლისწულთა არტილერიაში ოფიციალურ სამსახურებრივ პოზიციაზე ყოფნა დასტურდება (იოანე ბატონიშვილის გარდა), შესაძლოა, ისინი არტილერიასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული იყვნენ მეფის დავალების საფუძველზე, უფლისწულის მაღალი სტატუსიდან გამომდინარე, რაიმე ოფიციალურ თანამდებობაზე დანიშვნის გარეშეც. ძირითადი პრობლემა, რაც საკითხის შესწავლას აბრკოლებს, შემორჩენილი მასალების სიმწირე და ფრაგმენტულობაა. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1795 წელს, აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრებისას მეფის მთლიანი კანცელარია განადგურდა,[18] მასთან ერთად არსენალი და ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა[19]. შესაბამისად, ჯერჯერობით მაინც, ერთიანი სურათის წარმოდგენა რთულია, თუ როგორ იყო არტილერიასთან დაკავშირებულ უწყებებს შორის ურთიერთობა მოწესრიგებული, რა მიმართება არსებობდა, როგორი იყო კანცელარიის წარმოების სპეციფიკა და ა.შ. საარტილერიო წარმოებაში ბატონიშვილთა უფლებებზე, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ეპისტოლარული მასალები, მეფეთა და ბატონიშვილთა საქმიანი წერილები, რომლებიც შეიცავენ მიმართვებს, ბრძანებებს ადრესატისადმი და სპეციალურ ლიტერატურაში „მიწერილობის“ სახელით არიან ცნობილი[20] და რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე.

ვსაუბრობთ რა ბატონიშვილების მოღვაწეობაზე არტილერიაში, უნდა გავითვალისწინოთ ეპოქისათვის დამახასიათებელი რთული პოლიტიკური ვითარება, სამეფო კარზე გაჩაღებული ტახტისათვის ბრძოლა, რაც დროის გარკვეულ პერიოდებში, კონკრეტული ბატონიშვილების აღზევების ან საარტილერიო საქმიანობიდან ჩამოცილების საფუძველს ქმნიდა. თუმცა, მოცემული სტატიის მიზანი არ არის არტილერიაში უფლისწულთა სამსახურის ქრონოლოგიურად, ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში ჩვენება, რის გამოც, მათი მოღვაწეობა განხილულია ერთიანად, ზოგადად.

---

15 *პ. იოსეღიანი*, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936. 69.

16 აქ იგულისხმება უფლისწულის სტატუსით მოქმედება და არა ვთქვათ, იოანე ბატონიშვილის მოღვაწეობის ის პერიოდი, როცა გიორგი XII-მ ოფიციალური სიგელით ფელდცეხმეისტერად დანიშნა.

17 *მ. კეკეღია*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი, თბ., 1970. 128.

18 არტილერიას ცალკე დოკუმენტბრუნვა რომ ჰქონდა, დასტურდება სპეციალური თანამდებობის არსებობითაც, ერთ-ერთ საბუთს გაბრიელ მაიორთან, სერჟანტ ივანე კაჭკაჭოვთან, კაპიტან ზაქარია თურქესტანოვთან და პორუჩიკ გიორგი მეტრეველთან ერთად, ხელს აწერს „არტილერიის მწერალი მეღვინეთხუციშვილი პაატა“. იხ. სსცა. ფ. 1753. აღწ. 1. ს. 69. ფურც. 187.

19 *თ. ბაგრატიონი*, ახალი ისტორია, თბ., 1983, 42.; *თ. ბაგრატიონი*, დავით ბაგრატიონის ისტორია, თბ., 1972, 39-40.

20 *მ. ბეჰძნიშვიღი*, ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროები. თბ. 1989, 70.

II. ბატონიშვილები, როგორც საომარ ვითარებაში არტილერიის ხელმძღვანელები

საომარ ვითარებაში არტილერიისთვის შეიძლება ეხელმძღვანელათ ბატონიშვილებსაც, რასაც ისინი უშუალოდ მეფის დავალებით ახორციელებდნენ. მოვიყვანოთ მაგალითები: ერეკლე II ბელაქანში მყოფ მიშკარბაშ იოსებს წერდა (06.10.1787 წ.): „ჩვენი შვილი გიორგი დიდის ჯარით და თოფხანით[21] მაგ მხარეს გამოვა...“.[22] თავის მხრივ, მიშკარბაშს გიორგი ბატონიშვილიც აცნობებდა: „...ქალაქიდამ ჯარებით და თოფხანით გამოვდგებით, მანდ ყაზახისკენ უნდა ჩამოვდგეთ. მანდაური ამბავი რაც იყოს, ყველა გარჩევით მოგვწერეთ და გვაცოდინეთ“.[23] იმერეთში, ტახტისათვის ბრძოლაში, სოლომონ II-ის დასახმარებლად, ერეკლე II-ს ჯარითა და არტილერიით გაუგზავნია შვილიშვილი – იოანე,[24] ლომსიანთხევში გამართული ბრძოლის ბედი, სწორედ არტილერიამ გადაწყვიტა. მოგვიანებით, ასევე ერეკლე მეფისვე ბრძანებით, სოლომონის მისაშველებლად, იმერეთში არტილერიით გადავიდა ალექსანდრე ბატონიშვილიც.[25] არტილერიას მეთაურობდა იულონ ბატონიშვილიც, რომელიც 1788 წლის ივნისის ერთ-ერთ წერილში ზემო ქართლის სადროშოს სარდალს ოთარ ამილახვარს შემდეგ წერილობით მითითებებს უგზავნიდა: „...თოფხანა მოვიდოდა მანდა და კაცი გაუმძღვარე და ბრეთს გაგზავნე და რაც თოფხანას ჯარი მოჰყვა, თან უნდა გაჰყვნენ და ჩვენც ბრეთს ჩავალთ ჯარითა...“.[26] ანუ იულონ ბატონიშვილის ამ წერილიდან აშკარაა, რომ ის არტილერიის და მისი თანმხლები ჯარის გადაადგილებას წარმართავს. იულონივე მონაწილეობდა აღა მაჰმად ხანის საქართველოში ლაშქრობის საწინააღმდეგო ღონისძიებებში, სადაც იგი მამის დავალებით, სხვა სარდლებთან ერთად, ყარაბაღში გაემგზავრა იქ მყოფი ძმის – ალექსანდრესა და ყარაბახის ხანის დასახმარებლად, იულონს თან ახლდა არტილერიაც.[27]

1795 წლის 8 სექტემბერს (კრწანისის ბრძოლის წინ) გამართულ სამხედრო თათბირზე, ვახტანგ ბატონიშვილი მოითხოვდა, რომ სასწრაფოდ დაეკავებინათ შავნაბადას მთა და იქ 4 ზარბაზანიც განელაგებინათ, მის აზრს ეთანხმებოდა არტილერიის მაიორი გაბრიელ არეშიშვილიც.[28] ორ დღეში, 10 სექტემბერს, კრწანისის ბაღებთან არსებულ პოზიციებზე ვახტანგ ბატონიშვილის მცირე ამალამ და რამდენიმე არტილერისტმა, ერთი საათის განმავლობაში შეძლო სპარსელთა თავდასხმის შეკავება. იქ ვახტანგ ბატონიშვილი და არტილერია (ორი მაიორით და 5-6 მეზარბაზნით), „მათის უმაღლესობის ბრძანებით“ იყვნენ განლაგებული.[29] აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1794 წელს, ერთ-ერთი

21 თოფხანა – არტილერია.

22 საქ. სიძველენი III ტ, რედ. ე. თაყაიშვილი, ტფ., 1910, 24.

23 იქვე, 27.

24 *ლ. ბატონიშვილი, ბ. ბატონიშვილი,* ახალი ისტორია. ახალი მოთხრობა, 1941, თბ., 21-22, 62.

25 იქვე, 63. Акты Кавказской археографической комиссией, Т. I, Тифл., 1866, 554.

26 სსცა. ფ. 1448. აღწ. 1. ს. 1762.

27 *ა. თაბუაშვილი,* ქართლ-კახეთის სამეფოს თავდაცვითი ღონისძიებები ირანის აგრესიის მოსაგერიებლად 1795 წლის ივნის-აგვისტოში. საქართველოს ისტორიის ინსტ-ის შრომები, ტ. III, თბ., 2011, 238-239.

28 *ს. კაკაბაძე,* კრწანისის ომი, თბ., 1991, 93.

29 *ა. თაბუაშვილი,* რამდენიმე უცნობი დეტალი ირანისა და ქართლ-კახეთის სამეფოს 1795 წლის დაპირისპირების შესახებ, სპეკალი, N 5, 2012 წ.

წარმატებული ბრძოლის შემდეგ, ვახტანგ ბატონიშვილი ზემო ქართლის სადროშოს სარდალს ოთარ ამილახვარს წერილში მითითებას აძლევდა, რომ გამარჯვების ნიშნად დაეცალათ ზარბაზნები[30]. რათქმაუნდა, ზარბაზნების გამოყენების გადაწყვეტილებას (თუნდაც არა საბრძოლო ვითარებაში), სათანადო უფლებამოსილების არქონის შემთხვევაში ვახტანგი თვითნებურად ვერ მიიღებდა.

არტილერიას ხელმძღვანელობდნენ ერეკლეს შვილიშვილები – დავით და იოანე ბატონიშვილებიც. მაგალითად, დავითი მეთაურობდა კრწანისის ბრძოლისას არტილერიის ერთ-ერთ დანაყოფს: „აქვნდა თვის თანა ნაწილიცა არტილერიისა, ექვსი საშვალი და წვრილნი ცეცხლ-სასროლნი (ე.ი. ზარბაზანნი)“.[31] უფლისწული იოანე კი, გარდა ზემოთ ხსენებული ლომსიანთხევის ბრძოლისა, როგორც ჩანს, არაერთ ბრძოლაში ყოფილა ჩართული არტილერიით, რაც კარგად ჩანს გიორგი XII-ის მიერ 1798 წელს მისთვის ფელდცეხმეისტერობის ბოძების წიგნზე არსებულ მეფისვე ოქმში, სადაც საუბარია იოანეს ღვაწლზე, კერძოდ, „ამ გამარჯვებაზედაც, როგორც ეფერებოდა არტილერია ისე მოიხმარაო“.[32] ბუნებრივია, „ამ გამარჯვებაზედაც“, გულისხმობს იმას, რომ იოანეს, სხვა არაერთ ბრძოლაშიც წარმატებით უხელმძღვანელია არტილერიისთვის.

ამდენად, როგორც განხილული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, საომარ ვითარებაში არტილერიის ხელმძღვანელობა ბატონიშვილთა ერთ-ერთი ძირითადი უფლებამოსილება იყო, რომელსაც ისინი უშუალოდ მეფის მითითებით ახორციელებდნენ.

III. ბატონიშვილები საარტილერიო წარმოებაში

ბატონიშვილები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საარტილერიო წარმოებაშიც, სადაც ფართო უფლებამოსილებები გააჩნდათ. ამ მხრივ, პირველ რიგში აღსანიშნავია ა. კლიმიაშვილის მიერ მიკვლეული უნიკალური დოკუმენტი (27.10.1787 წ.), რომელშიც საუბარია „თოფხანის ხურო დურგლებისა და ზარბაზნების მბურღავ-მქლიბავების ხელფასებისათვის“ თანხების აკრეფაზე, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილს უნდა მირთმეოდა: „ბატონიშვილს ალექსანდრეს მოართვი, როგორც უმუშავებია, იმ გზით თითონ უბოძებს და სიას დააწერინებს...“.[33] აღნიშნული დოკუმენტის ანალიზი რამდენიმე მნიშვნელო-

30 სსცა. ფ. 1448. აღწ. 1. ს. 3443.

31 *თ. ბაგhატიონი*, დავით ბაგრატიონის ისტორია, თბ., 1972, გვ. 34.; *ს. კაკაბაძე*, კრწანისის ომი, თბ., 1991, 94, 112.

32 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში ხეც) Hd 3142. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტი გამოქვეყნებულია ა. თაბუშვილის მიერ, თუმცა არასრულად, იხ. ა. თაბუაშვილი, ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ., 2010, 149.

33 ა. კლიმიაშვილი, საარტილერიო მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს-ის II ნახევარში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. თბ., 1962. კრ.4, 265. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ა. კლიმიაშვილი დოკუმენტის შენახვის ადგილად პ. კარბელაშვილისეულ საარქივო ფონდს უთითებს (შესაძლოა იქ ინახებოდა კარბელაშვილის მიერ გადაწერილი ასლი), ხოლო დოკუმენტის გამცემად „ვინმე იოსებს“ მოიაზრებს, რაც შეცდომა უნდა იყოს, რადგან მსგავსი შინაარსის ბრძანებას მეფის გარდა ვერავინ გასცემდა. ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია ამ ბრძანების ორიგინალი, რომელსაც ორი ბეჭედი აქვს დასმული: ერთი წარწერით „იოსები“, ხოლო მეორე მცირედ დაზიანებული, თუმცა ერეკლე მეფის ბეჭედს

ვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, გამოდის, რომ ერეკლეს ალექსანდრე ბატონიშვილი ადრევე ჩაურთავს არტილერიის წარმოების საქმეებში, დოკუმენტის შედგენის დროისათვის ალექსანდრე 17 წლისაა, ხოლო ფრაზა „..როგორც უმუშავებია, იმ გზით...“ მიუთითებს, რომ ბატონიშვილი გაცილებით ადრეული ასაკიდან უკვე განაგებდა არტილერიის ტექნიკური პერსონალისთვის გასაცემი ხელფასების საკითხებს, ამავე დროს, საგანგებო უწყისების შევსებას („...სიას დააწერინებს...“).

მეორე ბატონიშვილი, რომელიც საარტილერიო წარმოებაში, ერეკლეს პერიოდიდანვე დიდი უფლებამოსილებით სარგებლობდა, იყო იულონი. სწორედ ის უზრუნველყოფდა საარტილერიო წარმოებისათვის და არტილერიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მასალების მოძიებას.

იულონ ბატონიშვილი წერილით (09.06.1788), ზემო ქართლის სადროშოს სარდალს ოთარ ამილახვარს აცნობებდა არტილერიის მასთან გაგზავნის შესახებ, ამავე დროს, წერდა: „დურგლები გამოგვიგზავნია და როგორც ამათ მოგახსენონ ფიცრები უშოვნინეთ და მოეცით“.[34] ანუ გამოდის, რომ არტილერიას გადაადგილებისას თან ახლდა ტექნიკური პერსონალი - დურგლების ჯგუფი, რომლებიც საჭირო ხის მასალას ადგილზე მოიპოვებდნენ. ეტყობა, ამ მიზნით ყველანაირი მერქანი როდი გამოდგებოდა, არამედ სპეციალისტების მიერ უნდა შერჩეულიყო, რაც იულონმაც კარგად იცის, ამაზე მეტყველებს საგანგებო ხაზგასმაც - „როგორც ამათ მოგახსენონ“. ხის მასალა შეიძლება გამოეყენებინათ სხვადასხვა დანიშნულებით: მაგ.: ურმებისთვის, ასევე სარტილერიო ყუთების დასამზადებლად (როგორც ეს ერეკლეს ერთ-ერთი ბრძანებიდან ჩანს),[35] სადგარებისთვის, ასევე „პირ საცობისთვის“ და ა.შ.[36]

ზარბაზნებისათვის საჭირო ნედლეულის მოძიებაში იულონ ბატონიშვილის აქტიურ როლს და უფლებამოსილებას ხაზს უსვამს ერეკლე II-ის მიერ სარდალ-სახლთუხუცესს იოანე მუხრანბატონისადმი გაგზავნილი წერილებიც, სადაც იულონის და იოანეს გამარჯვების შესახებ ინფორმაცია და სამხედრო საკითხებზე მითითებებია მოცემული. პირველ წერილში ერეკლე ითხოვს, იულონ ბატონიშვილს ზარბაზნის ტყვიები გაუგზავნონ,[37] ხოლო მეორე წერილში მეფე შემდეგ მითითებებს იძლევა: „და იულონს ზარბაზნის სახმარი რაგინდარა დაებარებინა, ის გაუგზავნეთ და ხუთი კაცი გაატანე, ჭალამდის მიიყვანონ და იქიდან დაბრუნდნენ“.[38] წერილიდან როგორც ირკვევა, მეფე არამხოლოდ საქმის კურსში იმყოფება ბატონიშვილის მიერ ზარბაზნებისათვის აუცილებელი სხვადასხვა მასალების მოძიებასთან დაკავშირებით, არამედ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ერეკლემ საჭიროდ ჩათვალა საკუთარი ბრძანებით

უნდა წარმოადგენდეს (სსცა. ფ. 1448. აღწ. 1. ს. 3437.), დოკუმენტის ფოტოპირი გამოაქვეყნა ლ. ასლამაზიშვილმა, რომელმაც სავსებით მართებულად, ბრძანება ერეკლე მეფისად მიიჩნია, იხ. *ღ. ასღამაზიშვიღი,* საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება XV-XVIII სს-ში. თბ., 2005. 63.

34 სსცა. ფ. 1448. აღწ. 1. ს. 1762.

35 მეფე ერეკლე (1720-1798), რედ. *ქ. ასათიანი,* საქ. ეროვნული არქივი, თბ., 2021. 31.

36 ზარბაზნის „პირ საცობი“ – „რომელსა მიაკვრენ თასმით და რკინის აბზინდით. ამას ხმარობენ შეუსვლელობისათვის წყლისა და აუღებლობისათვის სინოტიისა“ (იხ. ხეც S 4815, 13).

37 ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერთა აღწერილობა, წ. 1, თბ. 2016, 50.

38 ქართული სამართლის ძეგლები. რვატომეულის დანართი. რედ. *ი. ღოღიძე*. თბ., 2023, 266-267.

დაედასტურებია შვილის მოთხოვნა და მცირე კორექტირებაც შეეტანა, კერძოდ, დააზუსტა ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების საკითხები.

საარტილერიო წარმოებისათვის აუცილებელი სხვადასხვა მასალის გამოგზავნას ითხოვს იულონ ბატონიშვილი გორის მამასახლისისადმი მიწერილობაში (28. 08. 1789 წ.): „ორი ლიტრა რკინა, ათი ადლი სამოსელი,[39] სამი ფერსო.[40] გორის მამასახლისო, ესეები ჩვენის ზარბაზნებისათვის ახლავ გაურიგე და მოეც“.[41] ხოლო იულონ ბატონიშვილის მიერ ანანურის სამღებროს იჯარადარისათვის მიწერილობიდან ჩანს, რომ ბატონიშვილი ხუთი თოფი „უბრალო ხამის“ გამოგზავნას ითხოვს.[42] ტექსტილი არტილერიაში სხვადასხვა მიზნით უნდა ყოფილიყო გამოყენებული. გარდა იულონისა, ასევე იოანე ბატონიშვილის ერთი მიწერილობიდანაც ჩანს, რომ ხამი განკუთვნილი იყო უშუალოდ „ზარბაზნებისათვის“,[43] რაც დიდი ალბათობით, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ მასალით ამზადებდნენ კარტუზებს[44] სწრაფი სროლისათვის, როგორც ეს რუსულ (და ევროპულ) არტილერიაში იყო მიღებული.

ქართულ არტილერიაში საპოხად ძროხის გადამდნარ ქონს იყენებდნენ, რაც ცხადი ხდება იულონ ბატონიშვილისვე სხვა მიწერილობებიდან: „მამასახლისო, ზარბაზნის ღერძისათვის ერთი ლიტრა გადამდნარი ძროხის ქონი მოეც“.[45] ანდა, „მამასახლისო, ჯარში წამსვლელ ზარბაზნებისათვინ ლიტრა ნახევარი ძროხის ქონი მოეცი“.[46] იულონის მიმართვიდან ისიც ირკვევა, რომ თოფხანის საჭიროებისათვის აუცილებელია ძმარი და ძროხის ტყავი: „გორის მამასახლისო, ჩვენის თოფხანისათვის სამი თუნგი ძმარი მოეც და ნახევარი ძროხის ტყავი მოეცი“.[47] აღსანიშნავია, რომ წყალში გაზავებული ძმარი რუსულ (და ევროპულ) არტილერიაში, გამოიყენებოდა ლულის გაგრილებისთვის და გასროლის შემდეგ ლულაში ჩარჩენილი დაუწვავი, გაღვივებული დენთისა და კარტუზის ნაწილაკების გამოსასუფთავებლად. ამ პროცედურის გარეშე, ხელმეორედ დატენვის მიზნით, დენთის ლულაში შეტანა მყისიერი აალების რისკს წარმოშობდა.[48] ამავე დროს, ძმარი წარმოადგენდა სპეციალურად

39 „სამოსელში“ უნდა იგულისხმებოდეს ზოგადად ტექსტილი.

40 ფერსო – ურმის თვლის წრიულად შეკრული რკალი, რომელიც სოლებით მორგვთანაა მიერთებული.

41 სსცა. ფ. 1448. აღწ. 1. ს. 4820.

42 ხეც Hd 12687.

43 ხეც Hd 11707.

44 კარტუზი – ძველ ქართულ საარტილერიო ხელნაწერებში გვხვდება „კარტუსი“ „სატენი პარკი“ „პარკი“, რომელიც შემდეგნაირადაა განმარტებული: „ტილოს მსგავსი თხელი და მსუბუქი შეკერილი პარკებად წამლისათვის“ (ხეც S 4815, 2, 3, 15.; ხეც H 2165, 089 r., 090 r.) კარტუზი წარმოადგენდა ტექსტილის მცირე ტომარას, რომელშიც იყრებოდა დაფასოებული ერთი გასროლა მზა დენთი. ზარბაზნის დატენვის დროს, მეზარბაზნე ლულაში ათავსებდა კარტუზს ბირთვთან, ქეჩასა და ლულის არხის დასახშობთან – ობტიურატორთან ერთად. კარტუზის გამოყენება უზრუნველყოფდა ზარბაზნის სწრაფად დატენვას.

45 სსცა. ფ. 1448. აღწ. 1. ს. 4703.

46 ხეც Hd 11993.

47 სსცა. ფ. 1448. აღწ. 1. ს. 1801.

48 *Э. Браун,* Новейшее основание и практика артилерии. М., 1710, 115.; *Т.М.Беляев,* По поводу столетия со дня формирования Л.-Гв. артиллерийского батальона, Русский инвалид, № 245, 9 ноября, 1896. 5.

საზარბაზნე დენთის დასამზადებელ ინგრედიენტსაც.[49] რაც შეეხება ძროხისა და სხვა ცხოველების ტყავებს (მაგ.: თხის, ცხვრის), ქართულ არტილერიაში, სხვადასხვა გამოყენება უნდა ჰქონოდა, რაზეც ერეკლეს მიერ მამასახლისისადმი მიწერილობაც მეტყველებს, სადაც მოითხოვს, მამასახლისმა გასცეს ზარბაზნის ყუთის ლურსმნებისთვის ნახევარი ლიტრა რკინა და ასევე ორი ცხვრის „მეში“ (ტყავი)[50]. შესადარებლად ვიტყვით, რომ ევროპულ არტილერიაში, ცუდ ამინდში, ზარბაზანზე ცეცხლის მოსაკიდებელ ხვრელს ამოგოზავდნენ ცვილით და ფარავდნენ ცხვრის ტყავით[51]. ერთი ძველი ქართული საარტილერიო ხელნაწერის მიხედვით კი საწმენდი ზუმბა წარმოადგენდა „ხისა ზუმბასა, თავსა შემოკრულსა ცხვრის ტყავსა მექონსა ანუ ჯაგრისასა, რომლითაც ამოიწმინდება ზარბაზანი შემდგომად სროლისა“.[52]

სპეციალურ ლიტერატურაში, ქართულ არტილერიაში რუსულის მიბაძვით დაწესებული სხვადასხვა თანამდებობები მეტნაკლებად განხილულია (ძირითადად წოდებები),[53] თუმცა საარქივო დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ ერეკლეს რუსეთის არტილერიაში არსებული მედოლის ინსტიტუტიც გადმოუტანია, რაც საინტერესოა ქართული არტილერიის ისტორიის ამ უცნობი მოვლენის შესწავლის კუთხითაც.[54] ჩვენს შემთხვევაში კი ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ არტილერიის დოლის გასაკეთებლად მასალების მოძიებას, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, სწორედ იულონ ბატონიშვილი ახდენს: „გორის მამასახლისო, გიორგი კაპიტანს ბალაბანდისათვის ორი თხის ტყავი მოეც და ექვსი ადლი კანაფის თოკი“ – ნათქვამია ერთ-ერთ მიწერილობაში (20.08.1789 წ.).[55] მსგავსი შინაარსისაა სხვა მიმართვაც (20.08.1789 წ.): „გორის მამასახლისო ზურაბ, თოფხანის ბალაბანჩიკს[56] ბალაბანდისთვინ ორი კარგი თხის ტყავი მოეც, გორიდან გაურიგე“.[57] აქვე უნდა ითქვას, რომ თხის ტყავი

49 Исторические сведения об огнестрельном оружии, изданные по высочайшему повелению, СПб, 1841, 33-35, 119, 280.

50 მეფე ერეკლე (1720-1798), რედ. *ქ. ასათიანი,* საქართველოს ეროვნული არქივი, 2021, 31

51 Исторические сведения об огнестрельном оружии, изданные по высочайшему повелению, СПб, 1841, 33

52 ხეც S 4815, 15.

53 მაგ.: ა. კლიმიაშვილი, საარტილერიო მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს-ის II ნახევარში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. თბ., 1962. კრ. 4, 263-275.; ა. *თაბუაშვიღი,* ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ., 2010, 147-154 და ა.შ.

54 მედოლეს (რუს. Барабанщик) მშვიდობიან თუ საომარ ვითარებაში, არტილერიის და მეზარბაზნეების მოქმედების დროს, ძირითადად სასიგნალო ფუნქცია ჰქონდა. იმპერატორმა პეტრე I-მა „სამხედრო წესდებაში“ დოლთან დაკავშირებით მთელი თავი შეეტანა. იხ. Военно-исторический музей артиллерии, инженерных войск и войск связи. Гром победы раздавайся. СПб. 2006, 3

55 სსცა. ფ. 1448. აღწ. 1. ს. 4665. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVIII ს.-ის ევროპული და რუსული საარტილერიო დოლების კონსტრუქცია, ვიზუალურად ჩამოჰგავს დღეს არსებული ქართული დოლის კონსტრუქციას, ტყავის მემბრანა თოკებით არის დაჭერილი, რომლის მოჭიმვა ხმის რეგულირების საშუალებას იძლევა. იხ. Военно-исторический музей артиллерии, инженерных войск и войск связи. Гром победы раздавайся. СПб. 2006, 10-11.

56 როგორც ჩანს, ამ სიტყვის რუსული და სპარსული დასახელების სემანტიკური დამთხვევაც ხელს უწყობდა ქართულში მათ პარალელურ გამოყენებას (რუს. Барабан, სპარს. bālā-bān დოლი, აქედან რუს. Барабанщик და სპარს. bālābānjī მედოლე.)

57 ხეც, Hd 13346.

ერთ-ერთი საუკეთესო მასალაა დოლის მემბრანის დასამზადებლად, არის თხელი და ამავე დროს ძალზედ მტკიცე, რის გამოც, იგი მთელს მსოფლიოში გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება ამ დანიშნულებით.[58]

იულონ ბატონიშვილი, გარდა საარტილერიო წარმოებისა, არტილერიის მოხელეებისთვის ულუფის გადაცემაშიც მონაწილეობდა. გორის მამასახლისისადმი ერთ-ერთ მიწერილობაში იულონი თოფჩებისთვის რვა ლიტრი მარილის მიცემას ითხოვს[59]. რთულია განისაზღვროს მოთხოვნილი მარილის დანიშნულება, ის ტექნიკური მიზნითაც შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული და საკვებადაც[60]. თოფჩებისთვის განწესებულ ულუფასთან (და კვებასთან) დაკავშირებულ საკითხებს ძირითადად სახლთუხუცესი კურირებდა,[61] ზოგჯერ თავად მეფეც[62] და სხვა პირებიც, თუმცა იულონის ერთ-ერთ მიმართვით გორის მამასახლისისგან მოთხოვნილია თოფჩიბაშის კაცისთვის ფქვილის მიცემაც[63], რაც უდავოდ მიუთითებს იმაზე, რომ იულონ ბატონიშვილი არტილერიის პერსონალის კვებით მომარაგებაშიც ნამდვილად ყოფილა ჩართული.[64]

საარტილერიო წარმოებაში ასევე მონაწილეობას იღებდა დავით ბატონიშვილიც, რომლის უფლებამოსილებები ბიძამისის იულონის მსგავსია. მაგალითად, დავითის მიერ ზაალ მამასახლისისადმი მიწერილობიდან (05.07.1789 წ.) ირკვევა, რომ იგი ითხოვს „ზარბაზნებისათვის სამი ლიტრა რკინის“ გარიგებას. ხოლო სხვა წერილში (31.08.1800 წ.) დავით ბატონიშვილი უკვე ბაზაზბაშ კაკალას მიმართავს მოთხოვნით, რათა „ბარაბანჩიკებს ბალაბანდებისათვის ოთხი ბანბის თოკი“ მიეცეთ, დოკუმენტს უკან გააჩნია ხელწერილი: „მამებარა მე ზექალაშვილს ნინიას რვა სტილი ნასთი“,[65] საიდანაც ვგებულობთ არტილერიის ერთ-ერთი „ბარაბანჩიკის“ – ნინია ზექალაშვილის პიროვნებას. ამავე დროს, როგორც მითითებული მიწერილობიდან ირკვევა არტილერიაში რამდენიმე „ბარაბანჩიკი“ ყოფილა.

წერილში განხილული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ბატონიშვილები არტილერიასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისას

58 *M. Dean*, The Drum: A History. Lanham, 2012. გვ 24, 31, 54, 59, 87, 169; B. S. Mason, Drums, Tom-toms and Rattles. 1938, N.Y. 27-28.

59 ხეც Hd 13322

60 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკვებად მარილს აძლევდნენ თოფხანის ხარებსაც. (იხ. ხეც, Hd 13370). თუ გავითვალისწინებთ, იმ პერიოდისათვის მარილი საკმაოდ დეფიციტური და ძვირფასი პროდუქტი იყო, ცხადი ხდება თუ როგორ უვლიდნენ არტილერიისთვის განკუთვნილ ხარებს, როცა მათ რაციონში საკვები მარილიც კი იყო ჩართული. პლატონ იოსელიანის თქმით, გიორგი XII-ს 120 ხარი და კამეჩი ჰყავდა თოფხანის საზიდად (იხ. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936. 252).

61 იხ. მაგ.: ხეც Hd 13230, Hd 12166, Hd 12165, Hd 12056, Hd 13394, Hd 12831, Hd 13238 და ა.შ.

62 იხ. მაგ.: ხეც Hd 12690, სადაც ერეკლე თოფჩებისთვის შვიდი ლიტრა ლობიოს მიცემას ითხოვს, თავისი ნიგვზით.

63 ხეც. Sd 1277.

64 იულონ ბატონიშვილი ფურაჟისა და პროვიანტის შეგროვების და განაწილების საკითხებშიც აქტიურად მონაწილეობდა, მაგალითად, ერეკლეს ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, იგი იულონს ავალებს გორში აკრიბოს რუსის ჯარისათვის მისაცემი პური. თავის მხრივ, იულონის არაერთი წერილია შემორჩენილი გორის მამასახლისისადმი, სადაც სხვადასხვა სამხედრო პირებისადმი სურსათის ან ფურაჟის გადაცემას მოითხოვს. მაგალითად, ერთ-ერთ მიწერილობაში საუბარია რამაზ უზბაშის, ქიზიყელი მსახურებისა და ყაზახელი თათრებისადმი ქერის გადაცემაზე (იხ. სსცა, ფ. 1448. აღწ. 1. ს. 1340., ს. 3849 და ა.შ.).

65 ხეც, Hd 11607. ნასთი იგივე ნართია.

გარკვეული მოქმედებების შესრულებას მოითხოვენ ისეთი მოხელეებისაგან, როგორიცაა მამასახლისი (გორის ან ქალაქის ანუ თბილისის), ბაზაზბაში, სამღებროს იჯარადარი, რომლებიც ან მეფის მიერ დანიშნული ან სამეფო კარზე დამოკიდებული პირები არიან. კერძოდ, ბატონიშვილთა ბრძანების ადრესატი ბაზაზბაში იფრუმაანთ კაკალა გიორგი XII-მ დანიშნა თანამდებობაზე 1799 წლის ნოემბერში. ბაზაზბაშის ანუ ბაზაზების უსტაბაშის დანიშვნა ქალაქში მეფის ბრძანებით ხდებოდა და მეფისვე ბრძანებით განისაზღვრებოდა მისი უფლება, მოვალეობა და სარგოც. ხოლო თუ ბაზაზბაში სამსახურს წესიერად ვერ შეასრულებდა მეფეს შეეძლო მისი გადაყენება[66]. მეფის მიერ დანიშნულ მოხელეს წარმოადგენდნენ მამასახლისებიც, რომლებიც ძირითადად სახასო ქალაქებში იყვნენ (მაგ.: თბილისი, გორი და ა.შ.) და საქალაქო გამოსაღებების აკრეფის მიმართულებით მნიშვნელოვან მოხელეებს წარმოადგენდნენ. სამეფო კარის მიერ ნაბრძანები პროდუქტი კი ქალაქის ვაჭარ-ხელოსნებს გამოერთმეოდათ ხოლმე.[67] რაც შეეხება ანანურის სამღებროს, საერთოდ, სამღებრო საქმე სამეფო კარის (და უშუალოდ დედოფლის) მონოპოლიას წარმოადგენდა და სამღებროები იჯარით გაიცემოდა. ანანურის სამღებროს კი ლევან ბატონიშვილი კურირებდა, მოგვიანებით, ვახტანგ ბატონიშვილი.[68] ამდენად, ცხადია, რომ არტილერიის საჭიროებებისათვის ბატონიშვილები მითითებებს აძლევენ მეფის მიერ დანიშნულ და სამეფო სახლისადმი ანგარიშვალდებულ პირებს. თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სამხედრო საჭიროებებისთვის, სამეფო კარის დავალებით, მომსახურების გაწევა თუ მასალების გაცემა უფასოდ ხდებოდა. პირიქით, ხარჯები ზუსტად ანგარიშდებოდა და ანაზღაურებას ექვემდებარებოდა, რაც ჩანს არაერთი დოკუმენტიდან, მაგალითად, ერეკლეს მიწერილობიდან მელიქ ავეტიქასადმი, ირკვევა, რომ თოფჩიბაშს „სალდათის“ 20 თოფი უნდა მიეტანა მელიქისათვის, რომელიც ამ იარაღს ჩახმახებით და „შტიკებით“ გააწყობინებდა, „რაც დაიხარჯოს თოფჩიბაშს ყაბზი[69] მოაწერინეო“-ბრძანებდა მეფე.[70] „თოფხანის რკინის გასაკეთებლად“ ნახშირის შესაძენად კი, მჭედელ ხეჩატურას მიეცა ორი აბაზი, რომელიც გაიცა ახტალის ოქროს ხარჯებიდან და საგანგებოდ აღირიცხა დავთარში[71]. გიორგი XII-ის მიწერილობით ბაზაზბაშ კაკალასადმი „რუსების სუხარისათვის ბაზრიდან ოცდაშვილი ხსინა დახარჯულა“, რაც მეფის მითითებით „ანგარი[შ]ში ჩაგივარდებაო“.[72] ხარჯების შესაბამის დავთარში გატარება (სამომავლოდ ანაზღაურების მიზნით) ანუ დოკუმენტური მოწესრიგება, უნდა იგულისხმებოდეს ბატონიშვილების მიწერილობებშიც, სადაც ადრესატს მიმართავენ სიტყვებით -„გაურიგე“ ან „ახლავ გაურიგე“.[73]

66 *შ. მესხია,* საისტორიო ძიებანი, ტ. III, 1986, 249.

67 *შ. მესხია,* საისტორიო ძიებანი, ტ. I, 1982, 420-441.

68 *ნ. ბეhძენიშვიღი,* საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 4. თბ, 1967, 339, 344.; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973, 390.

69 ყაბზი-ქვითარი, ბარათი. ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს აღნუსხული ხარჯი.

70 *ა. თაბუაშვიღი,* საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების, დამზადებისა და ფასების საკითხისათვის. საქართველოს ისტორიის ინსტ-ის შრომები, ტ. X, თბ, 2016, 301-302.

71 *ნ. ბეhძენიშვიღი,* მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. 3, თბ., 1955, 98.

72 ხეც, Hd 11197.

73 სსცა, ფ. 1448. აღწ. 1. ს. 4820, ს. 2681. ხეც Hd 13346.

ამდენად, განხილული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ რა მრავალფეროვან საქმიანობას ეწეოდნენ ბატონიშვილები საარტილერიო წარმოებაშიც.

IV. იოანე ბატონიშვილი, როგორც ფელციხმეისტერი

იმ დამსახურებებისთვის, რაც იოანეს არტილერიაში მიუძღოდა, მამამ – გიორგი XII-მ ფელდცეხმეისტერად[74] (თოფჩიბაშად) დანიშნა[75]. ფელდცეხმეისტერი არტილერიაში უმაღლესი თანამდებობა იყო და შეესაბამებოდა მანამდე არსებულ „თოფჩიბაშს“. ევროპული ტერმინის დამკვიდრება ქართულ არტილერიაში იმ სამხედრო რეფორმის გაგრძელება იყო, რომელიც ჯერ კიდევ ერეკლე II-მ დაიწყო, როცა სხვადასხვა ევროპული ჩინები და წოდებანი დაამკვიდრა „რუსული არტიკულის“ მიხედვით[76]. „...დაგადგინეთ შენ, ჩვენი ძე იოანე ფელციხ მეისტერად, რომელ არის თოფჩიბაშობა და გარწმუნეთ ყოველი ჩვენი არტილერია და მსახურნი მისნი, აფიცარნი და თოფჩნი და რომელნიც სახმარნი ნივთნი არიან, ტყვია ან წამალი თუ რამე სხუა იარაღი, ყოველი შენის კითხვით უნდა გარიგდებოდეს“ – აცხადებს გიორგი XII სიგელში.[77] იოანე არამხოლოდ საარტილერიო პარკს, არამედ მის ტექნიკურ მხარესაც განაგებდა: „ბაზაზბაშ, ციხის ზარბაზნებისათვის ხუთი თოფი ხამი მოეც აღალუას“– ნათქვამია იოანე ბატონიშვილის ბრძანებაში (10.08.1800 წ.). ხამი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, კარტუზების დასამზადებლად იყო საჭირო. იოანეს ხსენებული ღონისძიება, როგორც ჩანს, თბილისის თავდაცვისათვის მიღებულ ზომებს უკავშირდებოდა, რაც ჩანს გიორგი XII-ის მიერ მალევე (29.08.1800 წ.) გაცემული წყალობის წიგნიდან, რომლითაც ბატონიშვილ იოანეს ჯილდოდ სოფლები უბოძა: „რადგან ამ ქალაქის გამაგრებასა და სიმტკიცეში იყავ, ჩვენც, ქვეყანასაც კარგად მსახურე, რომ აბას მირზას შიშით ყველანი შიშში იყვნენ შეკრდომილნი, შენ ამაში სიმხნე გვაჩვენე“.[78] ანუ ჩანს, ფელდცეხმეისტერ იოანეს განსაკუთრებული ზომები მიუღია ქალაქის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად, ბუნებრივია, თანამდებობიდან გამომდინარე იოანე განსაკუთრებულ ღონისძიებებს სწორედ არტილერიის მიმართულებით გაატარებდა, ამაზე მეტყველებს ზემოთხსენებული მიწერილობაც ბაზაზბაშისადმი. რამდენიმე თვეში კი, თბილისში შემოსული რუსის ჯარის საზეიმო დახვედრისას, ეკლესიების ზარების რეკვას ბანს აძლევდა ციხის ზარბაზნების ზალპი („Пушечная пальба из крепости“ და „Выстрелы из крепостных орудий“).[79]

---

74 Feldzeugmeister – გერმ. სიტყვიდან „Feldzeug“ (საველე ზარბაზანი). „უხუცესი განმგეობა არტილერიისა, ანუ ფელციხმეისტრობა, რომელსა თოფჩიბაშად უხმობდნენ“ იხ. *ო. ხეიხეუღიძე,* მეფობა ირაკლი მეორისა. თბ., 1989, 92.

75 *В.Е. Романовский,* Очерки из истории Грузии. (Приложение: Развитие учебнаго дела на Кавказе и в бывшем царстве Грузинском в XIX веке). Тифл., 1902. 419.; *ა. თაბუაშვიღი,* ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ., 2010, 149.

76 *ნ. ბეhძენიშვიღი* და სხვ., საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ. 1958, 374.

77 *ა. თაბუაშვიღი,* ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ., 2010, 149.

78 სსცა, ფ. 1753. აღწ. 1. ს. 75. 34.

79 *П. Бобровский,* Водворения русских войск в Закавказье, Русский инвалид, № 38, 19 февраля, 1898, 3.

იოანე ბატონიშვილის ბაზაზბაშისადმი ხსენებულ მიწერილობაში (10.08.1800 წ.) ცალკე ტერმინის სახით ჩანს „ციხის ზარბაზანი“,[80] რომელიც საველე (ძველი ქართული ტერმინოლოგიით „მინდვრის“) ზარბაზნისაგან, იმით გამოირჩეოდა, რომ პოქოქიკზე[81] გააჩნდა რკინის დეტალი სოლისებრი დაბოლოებით, რომლითაც ჩამაგრებული იყო სამაგრში (ციხის კედელთან). რკინის ეს დეტალი ანჯამის ფუნქციას ასრულებდა და შესაძლებელი იყო ზარბაზნის ლულის მიტრიალება სწრაფად და სასურველი მიმართულებით.[82] ციხის ზარბაზნის გამოყენების საინტერესო შემთხვევა აქვს დაფიქსირებული ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიანს, კერძოდ, კრწანისის ბრძოლის ბოლო მომენტში, როდესაც ერეკლე მეფის და მისი თანმხლები მცირერიცხოვანი ამალის შესაპყრობად, აბანოების ზევიდან გზაზე, ყიზილბაშთა რაზმები მეფეს თავს დაესხნენ, ამ დროს, ციხის ზედა ნაწილებიდან მეზარბაზნე აღალუამ[83] ცეცხლი გახსნა და მდევარი შეაყენა, რამაც მეფეს საშუალება მისცა გზაზე გაეარა.[84] ბუნებრივია, ასეთი სროლის კუთხის (ელევაცია) ზუსტი დაჭერა, მეზარბაზნის პროფესიონალიზმის გარდა, ზარბაზნის ლულის („ხორთუმის“)[85] სწრაფი და სასურველი მიმართულებით მიტრიალების შესაძლებლობის დროს მოხერხდებოდა. მით უმეტეს, სროლა ისეთი ზუსტი უნდა ყოფილიყო, რომ არ დაეზიანებინა ახლოშივე მყოფი მეფე და მისი ამალა. ციხის ზარბაზნებით აღალუას მოქმედებას აქებს თეიმურაზ ბატონიშვილიც: აღა მაჰმად ხანმა „მოუწოდა მყისვე სხვათა ახალთა შესვენებულთა თვისთა მხედრობათა და მომართა მეფესა და შეუდგა უკანა დიდითა ძლიერებითა და თუმცა ტფილისის ციხით ჰსცემდეს ზარბაზნებითა მხედრობასა სპარსთასა, ვინაიდგან აღალუა ვინმე, ერთი უფროსთაგანი ტფილისის ციხისა, ფრიად მხნედ იპოვა მას ჟამსა შინა და ზევითგან მაღალთა მათ მთათა კლდიერთა ზედა მდგომარისა ტფილისის ციხით, სეიდაბედის გარდმოსავალთა გზათა ზედა ესროდა სპარსთა, რათა ვერ უძლონ შემოსვლა ტფილისს და მრავალნი სპარსნი მოსწყდეს მით“.[86]

---

80 შეესაბამება რუსულ крепостная пушка (вертлюжная пушка)-ს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს, ძველ თბილისში, ციხის დიდი ეკლესიის რეაბილიტაციის დროს, აღმოჩნდა ქვევრში დამალული ზარბაზანი, ზედ შერჩენილი რკინის საბრუნავი დეტალით. მართალია, მსგავსი რკინის დეტალი აქლემის უნაგირზე დასამაგრებელ ზამბურაკებსაც გააჩნდათ, თუმცა აღმოჩენილი ზარბაზნის სიგრძე (თითქმის 2 მეტრი) და კონსტრუქცია, იმაზე მიუთითებს, რომ ის არა ზამბურაკი, არამედ სწორედ ციხეში გამოსაყენებელი, ზუსტი დამიზნების, მცირეკალიბრიანი ზარბაზნის ერთ-ერთი სახეობა უნდა იყოს. თავის მხრივ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდის კურატორის მამუკა ქაფიანიძის მართებული მოსაზრებით, ზარბაზანი კრწანისის ბრძოლის დროს უნდა იყოს დამალული.

81 პოქოქიკი – (რუს. Цапфа, ინგ. Trunnion), ორი შვერილი ზარბაზნის ლულაზე, რითაც ლულა ემაგრება სადგარს.

82 ზოგიერთი მონაცემით, თბილისის ციხის არტილერისტები ინგლისური წესით იყვნენ გაწვრთნილები. კრწანისის ბრძოლის დროს კი თბილისის ციხეს იცავდა 16 ზარბაზანი. იხ. *ს. კაკაბაძე*, კრწანისის ომი, თბ., 1991, 77, 113.

83 შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს აღალუა, მოგვიანებით, იოანე ბატონიშვილის მიწერილობაში ხსენებული იგივე აღალუა არის, რომელიც ომს გადაურჩა და აგრძელებდა იმავე პოზიციაზე მუშაობას. არსებობს მოსაზრებაც, რომ აღალუა იყო თბილისის ციხის კომენდანტი.

84 *ა. ჯამბაკურ-ორბელიანი*, აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში, მოამბე, 1895, ტ. 8, 156.

85 ზარბაზნის ლულას ანუ წინ გაშვერილ ნაწილს ეწოდებოდა „ხორთუმი“, ამ მნიშვნელობით იყენებენ აღნიშნულ სიტყვას, მაგალითად, საარტილერიო ხელნაწერები ხეც 4815 და 2165.

86 *თ. ბაგრატიონი*, დავით ბაგრატიონის ისტორია, თბ., 1972, 37.

ფელდცეხმეისტერი (თოფჩიბაში) არტილერიაში უმაღლესი თანამდებობა იყო, ის მეფის მიერ მონიჭებული უფლებამოსილების და დაკისრებული ვალდებულების ფარგლებში მოქმედებდა. ჯერ კიდევ ერეკლე II მოითხოვდა თოფჩიბაშისაგან: „სხვის შემოყვანასაც ეცადე, რომ თოფხანაში თოფჩებ გაიმრავლო“.[87] მართლაც, „საქართველოს მეფის ფელციღმეისტერი იოანე“, თანამდებობის შესაბამისად, ახორციელებდა თოფჩების სამსახურში აყვანას, რასაც ადასტურებს მისი წყალობის წიგნი ვინმე გრიგოლ გახელაძისადმი, რომელიც არტილერიაში თოფჩად განაწესა, „პაპაჩვენის განწესება, როგორც უცხადებსო“ იმ მოთხოვნის შესაბამისად.[88]

ფელციხმეისტერის საქმიანობაში და უფლებამოსილებებში მეფეს ნებისმიერ დროს შეეძლო საკუთარი შეხედულებისამებრ ჩარეულიყო და მისი გადაწყვეტილებებიც კი შეეცვალა. არტილერიაში მეფის უპირატესობას ადასტურებს ისიც, რომ იგი თავისი ნებისამებრ აწინაურებდა არტილერიაში მომსახურე პირებს. მაგალითად, წყალობის სიგელში, რომლითაც გიორგი XII-მ პორუჩიკ დავით ქანანოვს კაპიტნობა უბოძა, მეფე უთითებს: „თქვენც ასე გიბრძანებთ, ჩვენის არტილერიის პირველსა და მცირეს განმგენო! ბრძანება ესე ჩვენი თქვენც ასე დაუმტკიცეთ და ნურვინ შლად ხელ ჰყოფთ“[89]. ამ შემთხვევაში, მეფის წყალობის წიგნს თოფჩიბაში უბრალოდ თავისი ხელმოწერით ემოწმებოდა. მეფე გიორგი XII-ის ერთ-ერთი მიწერილობის მიხედვით, თოფჩ ზერეკიძეს უშუალოდ მეფისათვის მიუმართავს, სამოსი ეწყალობებინა, მეფემაც ბაზაზბაშს უბრძანა ერთი თუმნის სამოსი მიეცა თოფჩისათვის[90]. გიორგი XII-ის ერთ-ერთი ბრძანებიდან (27.05.1798 წ.) კი ჩანს, რომ მირიან ბატონიშვილთან თანხლების და არტილერიაში გამოუცხადებლობის გამო, კაპიტან ზაქარია თურქესტანიშვილს იოანე ბატონიშვილმა კაპიტნობა ჩამოართვა, რასაც არ ეთანხმება მეფე: „კურთხეულის ბატონის მამის ჩვენისაგან განწესებული იყო კაპიტნად და ახლა ჩვენც უბოძეთ, თავისი მდგომარეობიდან ნუ მოშლი, ისევ იმ მდგომარეობაში ამყოფონ“ – ბრძანებს მეფე, იქვე უმატებს: „როდესაც ჩვენს ძმას მირიანთან იყოს, ისიც ჩვენი სამსახურია, როდესაც არტილერიაში მოვიდეს, ისევ თავის მდგომარეობაში ამყოფე“,[91] ამდენად, არტილერიის უმაღლესი განმგებელია თვით მეფე და მას უფლება აქვს ფელდცეხმეისტერის გადაწყვეტილებებშიც კი ჩაერიოს.

ამ მხრივ, ყურადღებას იმსახურებს არტილერიის „შერჟანტ“ ივანესა და „ბარაბანჩიკ“ ნინიას შორის სახლის თაობაზე წარმოშობილი დავაც. ნინია „ბარაბანჩიკი“[92] საჩივრით მიმართავს უშუალოდ მეფეს, თუმცა იქვე მოითხოვს, რომ სერჟანტი „თქვენი შვილის იოანეს სამართალში მელაპარაკოსო“.[93] ნინიას

87 ა. *კღიმიაშვიღი*, საარტილერიო მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს-ის II ნახევარში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. თბ., 1962. კრ.4, 269.

88 სსცა. ფ. 1450. აღწ. 1. დავთ. 23, დოკ. 127.

89 სსცა. ფ. 1448. აღწ. 1. ს. 10528.

90 სსცა. ფ. 1753. აღწ. 1. ს. 75, ფურც. 45.

91 სსცა. ფ. 1448. აღწ. 1. ს. 9697.

92 არზის ავტორი ნინია „ბარაბანჩიკი“, იგივე ნინია ზექალაშვილია. ნინიას მონაწილეობა მიუღია კრწანისის ომში, თავად კი გადარჩენილა, თუმცა სახლ-კარი და ქონება განადგურებია (იხ. ხეც Hd 11583). თუ გავითვალისწინებთ მედოლის ფუნქციებს არტილერიაში, ნინიას მონაწილეობა ახალი ფურცელია კრწანისის ომის ისტორიის კვლევისთვის, ქართული არტილერიის მოქმედების შესწავლის კუთხით.

93 ხეც Hd 11577.

არზაზე არსებული მეფის ოქმითაც, საქმის გარჩევა და „გადაწყვეტის წიგნის“ მიცემა იოანეს დაევალა. რათქმაუნდა, XVIIIს.-ის ბოლოსთვის, ბატონიშვილს სასამართლო ფუნქციის განხორციელებაც შეეძლო,[94] თუმცა აქ ყურადღებას იმსახურებს, ის ფაქტი, რომ ნინია „ბარაბანჩიკი“ და ივანე „შერჟანტი“, მიუხედავად სამოქალაქო საქმეზე დავისა, სამხედრო და უფრო ზუსტად, არტილერიაში მომუშავე პირები არიან, ამიტომ მომჩივანი უკონკრეტებს მეფეს სათხოვარში, თუ რომელმა სასამართლომ განსაჯოს მისი საქმე. აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ არტილერიის მოხელეებს შორის წარმოშობილ დავას ფელდცეხმეისტერიც წყვეტს, თუმცა მისი სამოსამართლო უფლებამოსილება არ არის ავტონომიური ხასიათის და მას მეფის ნებართვა სჭირდება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იოანე ბატონიშვილის მიერ, ნინია „ბარაბანჩიკსა“ და ივანე „შერჟანტს“ შორის არსებულ დავაზე გამოტანილ გადაწყვეტილებას ადასტურებს თავად მეფე გიორგიც.[95]

ფელდციხმეისტერ ბატონიშვილ იოანესთან მისი ძმის – დავითის ურთიერთობის გასარკვევად კი საინტერესოა ამ უკანასკნელის სახელზე დაწერილი ვინმე მარდახას არზა (20.04.1800 წ.), საიდანაც ჩანს, რომ მარდახას ყმას არტილერიაში თოფჩად სამსახური მოუწადინებია, მარდახას ვინაიდან სხვა ყმა არ ჰყავს, არზაში ახსენებს ერეკლე მეფის დროინდელ წყალობას (გათავისუფლებული იყო მოვალეობებისაგან) და დავით ბატონიშვილს თხოვს ნუ დაუშვებს ამას: „თუ გეჭირებათ თოფჩი, რომელიც განწესებაა გააზატებისა, ისე წყალობა დამემართება ხემწიფე მამათქვენისაგანა და თქვენგანა, მოგართმევ“. არზაზე არსებულ ოქმში დავითი ძმას თხოვნით მიმართავს: „თუ ჩემი ძმობა გინდოდეს, ნურც თქვენ ინებებთ და არც იქნება, რადგან ნასყიდი ჰყავს, არც მოხელეს და არც არავის სხვას ხელი არა აქუს ამასთან. თავისი ნასყიდი კაცი თითონ ემსახუროს და თქვენც ასე ინებეთ და დაუმტკიცეთ.[96]“ ამ შემთხვევაში, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ არზის წარდგენის დროისათვის, მეფე გიორგი XII-ის შუამდგომლობით, იმპერატორ პავლე I-ის მიერ დავითი ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრედ უკვე იყო დამტკიცებული (1799 წ. 11 ოქტომბერს), სამეფოში მისი სტატუსი სხვა უფლისწულებისგან უკვე განსხვავებულია, შესაბამისად, მარდახას არზის ადრესატი ტყუილად არ შეურჩევია. ყურადღებას იმსახურებს არზაზე დადებული დავითის ოქმის ტონიც, რომელსაც უფრო თხოვნის იერი აქვს, ამავე დროს, დავითი თავად კი არ წყვეტს საკითხს, არამედ იოანეს ახსენებს დადგენილ წესს და შემდეგ მიმართავს „თქვენც ასე ინებეთ და დაუმტკიცეთ“.

V. ბატონიშვილების ღვაწლი არტილერიის თეორიის ჩამოყალიბებაში

„ეს თოფხანა საქვეყნო საქმე არის... და ამისთვის დავხარჯეთ, თორემ სხვა საქმისათვის ხელს არ ვახლებდით“[97] – ერეკლე მეფის ამ სიტყვებში კარ-

94 *მ. კეკელია*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი, თბ., 1970, 128.

95 ხეც Sd 2046 (ასევე გადაწყვეტილების ასლი იხ. ხეც, Hd 11577.)

96 ქართული სამართლის ძეგლები, რედ. *ი. ღოღიძე*, ტ. VIII, თბ., 1985, 627.

97 *ა. კლიმიაშვილი*, საარტილერიო მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს-ის II ნახევარში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. თბ., 1962. კრ. 4, 265. აქვე უნდა აღინიშნოს,

გადაა გამოხატული ის სულისკვეთება, რაც ქართლ-კახეთის სამეფო კარზე არსებობდა არტილერიისადმი. ბატონიშვილების ამ მიმართულებით ინტერესიც განსაკუთრებული იყო, რაც მათ მიერ შედგენილ წერილობით ძეგლებშიც აისახა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმირების პროექტში „სჯულდებაში", რომელიც ბატონიშვილმა იოანემ შეიმუშავა და ფელდცეხმეისტერის თანამდებობით აწერს ხელს, განსაზღვრა, რომ როგორც სხვა სამხედრო მიმართულებებში, მეფის ძენი ასევე არტილერიაშიც უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი.[98] თავის მხრივ, დავით ბატონიშვილის მიერ შემუშავებულ, ანალოგიური ხასიათის პროექტში, საგანგებოდ იყო მითითებული, რომ სასწავლებლის მოსწავლეებიდან „რომელიცა იყოს ამათგანი მკვეთრ გონებისა, გარდაიყვანონ შკოლათა კეთილშობილთასა, რათა ისწავლოს რაგვარადცა არტელერია და მეხანიკა...". მასწავლებლებს ჯამაგირს დაუნიშნავდა უშუალოდ მეფე.[99]

ბატონიშვილები ცდილობდნენ, ქართული არტილერიის საქმე რუსულის გამოცდილებით აემაღლებინათ, რაც მათ მიერ არამხოლოდ პრაქტიკული მოღვაწეობით, არამედ არტილერიის თეორიის შესწავლასა და გადმოქართულებაშიც გამოიხატა. დავით და იოანე ბატონიშვილების მიერ არაერთი საარტილერიო წიგნი ითარგმნა და დამუშავდა[100]. იოანემ „კალმასობაშიც" ჩართო არტილერიასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ჩამოთვლის იმ მინიმალურ ცოდნას, რომელიც სარდალს აუცილებლად უნდა ჰქონოდა, მათ შორის: მათემატიკა, არტილერია, „დროზედ სად ეჭირება ზარბაზნების მიშველება, იერიშის მიტანა"[101]. დავით ბატონიშვილმა კი რუსულიდან ნათარგმნ ერთ-ერთ საარტილერიო წიგნს, ძმის - იოანესადმი მიძღვნა წაუმძღვარა, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა საქვეყნო საქმედ მიაჩნდათ ბატონიშვილებს საარტილერიო ცოდნის გავრცელება: „... სანატრელ არს ესევითარი კაცი, რომელსაცა აქვს სურვილი ერთა ზრუნვისა, მაგრა რაჲ, უკეთუ მხოლოდ შენ გექმნების საუნჯე დაფარული ჴელქვეშეთაგანცა შენთა, რომელთა არ რაიმე უწყიან! და უკეთუ აღძრავ მათცა ჴელოვნებისადმი და თანამდებობისა მათისა შემეცნებად, მაშინ იქმნების საქმე ესე პატიოსან და ღირსსახსოვ მამულისაგან და საზოგადოობისა".[102] არც ის არის შემთხვევითი, რომ პოტენციურმა მეფემ, ნათარგმნი ხელნაწერი ფელდცეხმეისტერს აჩუქა. დავითის ღვაწლი საარტილერიო ხელოვნებისადმი, მისი საფლავის ეპიტაფიაზე წასაწერ ლექსშიც საგანგებოდაა ხაზგასმული.[103]

დავით ბატონიშვილის მიერ აღზრდილი, მისივე უმცროსი ძმა თეიმურაზიც არტილერიით იყო გატაცებული, მასაც აქვს დაწერილი „პრაქტიკა არტილე-

---

რომ კლიმიაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ვარიანტში, რატომღაც ტექსტი მთავრდება სიტყვით „ვახლებთ", თუმცა ერეკლეს ბრძანების ორიგინალში წერია „ვახლებდით" (იხ. სსცა. ფ. 1448. აღწ. 1. ს. 3437).

98 *ი. ბაგრატიონი*, სჯულდება, გამოსაცემად მოამზადა *ივ. სუხგუღაძემ*, თბ., 1957, 4.

99 სამართალი ბატონისშვილის დავითისა, გამოსაცემად მოამზადა დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, 173.

100 მაგალითად: ხეც, H 775, ხეც, H 2165, ხეც, H 2333.

101 *ი. ბატონიშვიღი*, კალმასობა, ტ. 1, 1936, 57, 207.

102 ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), რედ. *აღ. ბახამიძე*, ტ. V, თბ., 1949, 117.

103 *M. F. Brosset*, Mémoires inédits, relatifs l'histoire et à la langue géorgiennes. Paris, 1833. თბ., 222-223.

რიისა“, იმ დროს, როდესაც სპარსეთში ინგლისელების მიერ მოდერნიზებულ მთელს არტილერიას ხელმძღვანელობდა[104]. ამ მიმართულებით, გარკვეული ინტერესი უნდა ჰქონოდა ბაგრატ ბატონიშვილსაც, რომელსაც თავისი ძმის იოანეს თხოვნით გადაუწერია დენთის სხვადასხვა პროპორციებით ფეიერვერკის (შუშხუნის) შესახებ ხელნაწერი.[105]

დასკვნა

ამდენად, ქართლ-კახეთის მეფეთა განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტის – არტილერიის საქმიანობაში ბატონიშვილები მრავალფეროვანი უფლებამოსილებებით სარგებლობდნენ და ის გამოიხატებოდა, როგორც ომის დროს არტილერიის ხელმძღვანელობით, ასევე საარტილერიო წარმოებაში და მომარაგებაში ჩართულობით, მაღალი თანამდებობების დაკავებით. მართალია, არტილერიის უზენაეს განმგებლად მეფე მიიჩნეოდა, თუმცა მეფისვე პატრონაჟით, ბატონიშვილები წარმოდგენილი იყვნენ საარტილერიო საქმის ყველა მიმართულებაზე, მათი ინტერესი მხოლოდ არტილერიაში მოღვაწეობით როდი შემოიფარგლებოდა, პროგრესულად მოაზროვნე ბატონიშვილები ცდილობდნენ ქართული საარტილერიო საქმე უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით დაეხვეწათ და სათანადო სამეცნიერო ბაზაც შეექმნათ ამისთვის.

104 *შ. მესხია*, თეიმურაზ ბატონიშვილი (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1982, 17.

105 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), რედ. *ე. მეტხევეღი*, ტ. I, თბ. 1959, 416-417.